YOUTH DEMOCRACY COHORT

სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის ხელშესაწყობად გადასადგმელ სავარაუდო ნაბიჯთა სარეკომენდაციო სია

დემოკრატიის ჯგუფი ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკურ ჩართულობაზე

ახალგაზრდების დემოკრატიის ჯგუფი მოხარულია, წარმოგიდგინოთ იმ ნაბიჯთა სია, რომლების გადადგმაც სახელმწიფოს დაეხმარება ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდაში. შემოთავაზებული 33 კონკრეტული რეკომენდაცია გამოადგებათ დემოკრატიის სამიტის (The Summit for Democracy) მონაწილე, ასევე ყველა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებსაც სურთ ახალგაზრდების უფლებებისა და მონაწილეობის გასაზრდელად რეფორმების გატარება და პოლიტიკის შემუშავება. რეკომენდაციები მოიცავს რამდენიმე სფეროს, კერძოდ: ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებას საჯარო მმართველობაში, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და პროგრამებში; ახალგაზრდების მხარდაჭერას სახელმწიფო დანიშვნით და არჩევით თანამდებობებზე მოხვედრაში; ახალგაზრდების გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერასა და პატივისცემას; ახალგაზრდების პოლიტიკური ჩართულობის პოპულარიზაციასა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას ახალგაზრდებში. რეკომენდებულ სფეროთა მრავალფეროვნება ასახავს ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით არსებულ გამოწვევათა სიმრავლეს. ახალგაზრდების გარიყულობა დემოკრატიული პროცესებიდან აისახება სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის ყველა დონესა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტზე. მოცემული რეკომენდაციები შემუშავებულია მსოფლიოს გარშემო არსებულ დემოკრატიის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდებთან და ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციის გზით. რეკომენდაციები მოიცავს არამხოლოდ ახალგაზრდების, არამედ უფრო ფართოდაც, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებათა ნუსხასაც. აღნიშნული ასევე რეკომენდებული იყო ახალგაზრდების მიერ. მათი აზრით, ქვეყანაში ზოგადად ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვა და პატივისცემა ხელს უწყობს ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი გოგოებისა და ახალგაზრდა ქალების, უსაფრთხოებასა და დემოკრატიულ პროცესებში (სახელმწიფო მართვის საქმეში) წარმატებულ ჩართულობას. სამომავლოდ ახალგაზრდობის დემოკრატიული ჯგუფი გეგმავს შემოთავაზებული რეკომენდაციების პოპულარიზაციისთვის ღონისძიებების განხორციელებას. მათ შორის სახელმწიფოთა მიერ ამ რეკომენდაციების საკანონმდებლო თუ პოლიტიკის დონეზე მიღება-დამტკიცების ადვოკატირებასა და მათი აღსრულების შეფასებას ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. რეკომენდაციები ოფიციალურად წარდგენილ იქნება 2023 წლის 28 თებერვალს, ბელგიაში, ქ. ბრიუსელში დაგეგმილ დემოკრატიის გლობალური კოალიციის ფორუმზე.

YOUTH DEMOCRACY COHORT

დემოკრატიის სამიტის ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის ჯგუფი

მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გადასადგმელ ნაბიჯთა სარეკომენდაციო სია

1. ახალგაზრდების ხმის გაძლიერება მმართველობის სფეროში:

    a. ახალგაზრდების მოსაზრებების საკანონმდებლო რეფორმებში ასახვის გარანტიების შექმნა. ეს შესაძლოა, განხორციელდეს ეროვნულ დონეზე სახელმწიფო სტრუქტურებსა და ახალგაზრდებს შორის განგრძობადი დიალოგის მექანიზმების (მაგ. საკონსულტაციო საბჭოები, სამუშაო ჯგუფები) შექმნის გზით.

    b. ინტერპარტიული საპარლამენტო ჯგუფების შექმნის მხარდაჭერა, სადაც გაერთიანებულნი იქნებიან ახალგაზრდა პოლიტიკოსები ან რიგით ახალგაზრდა მოქალაქეებთან მუშაობა მათ მიერ შერჩეულ პრობლემათა საკანონმდებლო დონეზე გადასაჭრელად.

    c. ყველა დონის (როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და ადგილობრივ-მუნიციპალური, მაღალი, საშუალო და დაბალი რგოლის თანამშრომლები) საჯარო მოხელეების ახალგაზრდებთან მუშაობის უნარების განვითარება, მათ შორის ახალგაზრდულ მუშაობაში მათი გადამზადება და სხვადასხვა ტრენინგების პოპულარიზაცია.

    d. ეროვნულ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტებისა (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, სტანდარტები) და პროგრამების შექმნა, მხარდაჭერა და დაფინანსება.

    e. ახალგაზრდული ორგანიზაციების ნაციონალური საბჭოებისა და სხვა მსგავსი საკოორდინაციო მექანიზმების დამოუკიდებლობის, გამჭვირვალებისა და ინკლუზიურობის გაძლიერება.

    f. ყველა ახალგაზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ახალგაზრდების, მათ შორის ქალებისა და შშმ პირების, სახელმწიფო სამსახურში აყვანის მექანიზმების მიზანმიმართული/პროაქტიური შექმნა.

2. ხელისუფლებაში ახალგაზრდების მხარდაჭერა:

    a. პარტიული დაფინანსების მარეგულირებელი სამართლიანი კანონმდებლობის შექმნა, არსებულის გაუმჯობესება და აღსრულებაზე ზედამხედველობა. კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს

ახალგაზრდების, მათ შორის ქალებისა და ზოგადად ახალი კადრების შემოდინებას პოლიტიკაში.

b. ახალგაზრდების რეალური ჩართვა საპარლამენტო პროცესებში: საკანონმდებლო რეფორმების გატარება, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ უფლება, კენჭი იყარონ საპარლამენტო არჩევნებში. ასევე ახალგაზრდული პარლამენტების შექმნა-დაფინანსება.

c. პოლიტიკური პარტიების მოტივირება ახალგაზრდებისთვის მეგობრული და ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. პარტიების წახალისება, რათა საკუთარი ახალგაზრდა წევრები მიუშვან გადაწყვეტილების მიმღებ როლებამდე მათ შორის გადამზადების, ტრენინგებისა და პარტიებს შორის გამოცდილების გაცვლის გზით.

d. ახალგაზრდა კანდიდატების, განსაკუთრებით ქალების, შშმ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების მხარდაჭერა, რაც საჭიროებს პოლიტიკური პარტიების ცნობიერების ამაღლებას, ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილი და მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხელშეწყობას, საარჩევნო კამპანიების წარმოებისას ფინანსური და ასაკთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრასა და ახალგაზრდა კანდიდატების შესაძლებლობების განვითარებას.

e. ყველა პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდა წევრთა შეკრება წინასაარჩევნო პერიოდში დეზინფორმაციისა და პოლიტიკური ძალადობის აღმოსაფხვრელად ეთიკის კოდექსის ან ერთობლივი დეკლარაციის შესამუშავებლად.

f. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის რეალური ხარჯების (ოფიციალური ხარჯები, ტრადიციული ხარჯები, ფარული ხარჯები) აღრიცხვა და მონიტორინგი და გამჭვირვალე განხილვა. საჯარო მსჯელობა იმაზე, თუ როგორ აფერხებს ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების განახლებას საარჩევნო კამპანიის ხარჯები, ასევე კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებული კულტურული ბარიერები, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.

g. ახალგაზრდული კვოტების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ახალგაზრდულ მონაწილეობას და არა ახალგაზრდათა სხვადასხვა ჯგუფის ერთმანეთთან კონკურენციასა და დაპირისპირებას.

h. კომპეტენტური ახალგაზრდა მოხელეებისთვის საპასუხისმგებლო

დავალებების, სამუშაოების, გადაწყვეტილების მიმღები როლების, თანამდებობებისა და სამსახურების მინდობა.

i. მოსახლეობის გარიყული ან არაპრივილიგირებული ჯგუფების წარმომადგენელთა საჯარო სამსახურში დასაქმების წასახალისებლად თანაბარი შესაძლებლობისა და ინკლუზიურობის უზრუნველმყოფი გამჭვირვალე და განჭვრეტადი პოლიტიკის შემუშავება.

3. ახალგაზრდების გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერა

a. ახალგაზრდა აქტივისტების, ხელოვანების, ჟურნალისტებისა და ბლოგერებისთვის მშვიდობიანი გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი მექანიზმების (იგულისხმება როგორც საკანონმდებლო/წერილობით დოკუმენტებთან დაკავშირებული რეფორმები, ასევე სამართალდამცავების მიერ ახალგაზრდებზე თავდასხმების ეფექტური გამოძიება-რეაგირება და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ახალგაზრდებზე თავდასხმისგან თავის შეკავება) გაძლიერება და უსაფრთხო საზოგადოებრივი სივრცეების შექმნის შესაძლებლობის მიცემა.

b. ახალგაზრდებისთვის არჩევნებში ხმის მიცემის გაადვილება პირადობის დამადასტურებელ მოწმობებზე წვდომის უზრუნველყოფა; ამომრჩეველთა აღრიცხვა საარჩევნო და სამოქალაქო ელექტრონული რეესტრების მეშვეობით; ამ 2 რეესტრის ერთმანეთთან დაკავშირება (მაგ. ისე, რომ საარჩევნო ასაკს მიღწეული მოქალაქე ავტომატურად ხვდებოდეს ამომრჩეველთა სიაში და არ ჭირდებოდეს დამატებითი რეგისტრაცია).

c. ახალგაზრდა მოქალაქეებისთვის ნებართვების გაცემა დემოკრატიული ინსტიტუტებისა (მაგ. საპარლამენტო საქმიანობის) და პროცესების (მაგ. სამშვიდობო პროცესზე ზედამხედველობა, არჩევნებზე დაკვირვება, პარალელური ხმის დათვლა) მონიტორინგის განსახორციელებლად. ახალგაზრდების დანიშვნა სხვადასხვა გასატარებელი რეფორმის მრჩევლებად.

4. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის კულტურის პოპულარიზაცია-წახალისება:

a. საარჩევნო ადმინისტრაციის (არჩევნების წარმმართველი ორგანო, საარჩევნო კომისია) მხარდაჭერა ამომრჩეველთა რეგისტრაციის იმგვარი სისტემების გამართვაში, რომლებიც არჩევნებში ხმის პირველად მიმცემებს გაუმარტივებთ ამომრჩევლად რეგისტრაციასა და საარჩევნო უბანზე

მისვლას. (შენიშვნა: ქართულ რეალობაში ეს შეიძლება, მათ შორის, ითარგმნოს იმაში, რომ ახალგაზრდებს მიეცეთ უფლება, საარჩევნო უბანზე გამოცხადდნენ არა ფორმალური რეგისტრაციის, არამედ ფაქტობრივი საცხოვრებელი, სამუშაო ან სასწავლო ადგილის მიხედვით).

b. საარჩევნო ადმინისტრაციასა და პირადობის დამადასტურებელ მოწმობათა გამცემ ორგანოებს შორის კოორდინაცია, რათა ახალგაზრდა ამომრჩევლებმა დროულად მიიღონ ამომრჩეველთა ერთიან სიაში სარეგისტრაციოდ საჭირო დოკუმენტაცია და შეძლონ ხმის მიცემა.

c. საარჩევნო ადმინისტრაციის პარალელურად პირველად ხმის მომცემ ამომრჩევლებთან (ახალგაზრდა, რომელიც ეს-ეს გახდა 18 წლის და მიეცა საარჩევნო ხმის უფლება) საკომუნიკაციოდ და საარჩევნო ინფორმაციის გასაზიარებლად სხვა მრავალფეროვანი არხების (როგორც უფრო ტრადიციული, მაგალითად, მოკლეტექსტური შეტყობინებები, რადიო, ტელევიზია, პრესა, ისე ონ-ლაინ პლატფორმები, მაგ. ვებსაიტები, აპლიკაციები, სოციალური მედია) მოძიება და გამოყენება.

d. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკავშირება პასუხისმგებელ სამინისტროებთან, საჯარო უწყებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის სასწავლო პროგრამაში ჩართვის მიზნით. ახალგაზრდებს ასევე უნდა ჰქონდეთ არჩევნებისთვის პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობა, მაგ. მოსწავლეთა თვითმმართველობაში ჩართვის გზით.

e. ახალ ამომრჩეველთა გამოცდილების გაუმჯობესება გრძელვადიან პერსპექტივაში საარჩევნო აქტივობის შენარჩუნების მიზნით, რასაც შეიძლება, მივაღწიოთ, მათ შორის აქტიური საარჩევნო უფლების ასაკის დაწევით.

f. ახალგაზრდებზე მორგებული მონაწილეობითი მექანიზმების (მონაწილეობითი ბიუჯეტირება, კონსულტირება(განვითარება.

g. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების/არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რათა მათ ჩართონ ახალგაზრდები საკვანძო დემოკრატიულ პროცესებში, მათ შორის აქტიური მოქალაქეობის, სხვადასხვა რეფორმისა და პოლიტიკის შემუშავებასა და დემოკრატიულ პროცესებზე (მაგ. არჩევნები, სახელმწიფო უწყებათა საქმიანობა) სამოქალაქო ზედამხედველობაში ჩაბმით.

h. შესაძლებლობის ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციების დახმარება

საარჩევნო უბნებად შშმ პირთათვის მისაწვდომი შენობების მოძიებაში; სამოქმედო გეგმის შემუშავება ეტაპობრივად ყველა საარჩევნო უბნის ადაპტირების მიზნით.

i. ახალგაზრდებისთვის სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროგრამების შემუშავება და მიწოდება ახალგაზრდა ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ლგბტ, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი და აბორიგენი ახალგაზრდების უნიკალური გამოცდილებების გათვალისწინებითა და ამ გამოცდილებებზე ყურადღების გამახვილებით.

j. სხვა სახელმწიფოთა მთავრობებთან თანამშრომლობა, მათი წახალისება, დაიცვან სამოქალაქო თავისუფლებები, განსაკუთრებით პოლიტიკაში არსებულ კორუფციასა და ნეპოტიზმთან ბრძოლით.

k. ყველა ახალგაზრდისთვის, განსაკუთრებით ქალების, შშმ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ან აბორიგენი ახალგაზრდებისთვის, 18 წლამდე ბავშვებისთვის განკუთვნილ სამოქალაქო განათლებაში ინვესტირება, რათა ახალგაზრდებმა ისწავლონ და გაიაზრონ თავიანთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

5. ადამიანის უფლებების პატივისცემის კულტურის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

a. ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრა, მათ შორის კონკრეტული კანონმდებლობის მიღება, პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების შექმნა ქალთა მიმართ არსებულ ისეთ მავნე ტრადიციულ პრაქტიკებთან საბრძოლველად, როგორიცაა ბავშვთა ქორწინება.

b. ქალთა და გოგონათა ტრეფიკინგთან, გენდერულ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით დაინტერესება.

c. დემოკრატიულ მმართველობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ცნებების ჩაშენება სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამაში.

d. ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობისას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის წამახალისებელი და ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა.